სგშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა - ქალაქ გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: ურბანული განვითარების პროექტი

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: გურჯაანის მუნიციპალიტეტი

საჯარო განხილვის ორგანიზატორი: სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო

დაგეგმილი საქმიანობის სგშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი:

- **2024 წლის 4 ივლისი, 12:00 საათი, ქ. გურჯაანის ტექნოპარკის შენობა (მის.: მერაბ კოსტავას ქუჩა №63)**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილ სგშ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 11 ივლისის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150, ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://ei.gov.ge/ka/info/49957eb5-dab2-4708-8045-5ca7c9812de5